



Vernetzt für Nachhaltigkeit

HANDBUCH
კრებული



Auswärtiges Amt

**GOETHE
INSTITUT**

Sprache. Kultur. Deutschland.



INHALT | სარჩევი

EINLEITUNG	შესავალი
Vorwort	5 წინასიტყვაობა
Über „Vernetzt für Nachhaltigkeit“	7 „გავერთიანდეთ მდგრადი მომავლისათვის“-პროექტის შესახებ
NACHHALTIGE ENTWICKLUNG	მდგრადი განვითარება
Gemeinsam das gute Leben suchen	12 ერთად ვეძიოთ კარგი ცხოვრება
Die Erde lesen lernen	15 ვისწავლოთ დედამიწის წაკითხვა
Nachhaltige Waldbewirtschaftung in Georgien	19 ტყის მდგრადი მართვა საქართველოში
Projektorientiertes Lernen im fremdsprachlichen Deutschunterricht	22 პროექტებზე ორიენტირებული სწავლა გერმანულის, როგორც უცხო ენის შესწავლისას
BILDUNG FÜR NACHHALTIGE ENTWICKLUNG	განათლება მდგრადი განვითარებისათვის
Von der Umweltbildung zur Bildung für nachhaltige Entwicklung	26 ეკოლოგიური განათლებიდან - მდგრად განვითარებაზე მიმართული განათლებისკენ
„Gutes Leben für alle“	32 „კარგი ცხოვრება ყველასათვის“
Nachgefragt	36 კითხვები და პასუხები
Partizipation als Schlüsselement	38 ჩართულობა, როგორც საკვანძო ელემენტი
Kompetenzorientierter Unterricht	40 კომპეტენციებზე ორიენტირებული სწავლება
CLIL und Nachhaltigkeit	48 CLIL და მდგრადობა
BNE - KONKRET	მზგ - კონკრეტული ხედვა
„Das Salz in der Suppe“	50 „მარილი წვნიანში“
PROJEKTE	პროექტები
Über die Projekte und die Schulen	66 პროექტებისა და სკოლების შესახებ
Projektberichte	68 პროექტის საანგარიშო მოხსენებები
SERVICE	სერვისები
80	

EINLEITUNG

შესავალი

LIEBE LEHRERINNEN UND LEHRER, LIEBE SCHÜLERINNEN UND SCHÜLER, LIEBE INTERESSIERTE,

vorliegendes Handbuch resümiert Anleitungen, Ideen, Ergebnisse und Erfahrungen von „Vernetzt für Nachhaltigkeit“, einem Sonderprojekt des Goethe-Instituts Georgien, das von Juni 2015 bis zum Dezember 2015 in den drei Ländern des Südkaukasus – Armenien, Aserbaidschan und Georgien – stattgefunden hat. Es wurde durch Mittel der Östlichen Partnerschaft zur Förderung von Demokratie und Zivilgesellschaft durch das Auswärtige Amt der Bundesrepublik finanziert und durch Ihr außergewöhnliches Engagement und Interesse möglich gemacht. Dafür gebührt in erster Linie Ihnen, den Lehrerinnen und Lehrern und den Schülerinnen und Schülern, Dank und Respekt.

Den Weg zu „Vernetzt für Nachhaltigkeit“ und auch die unmittelbaren Folgen möchte ich an meinen regelmäßigen Wanderungen in der wunderschönen Umgebung von Tbilissi illustrieren:



Oft schon bin ich deprimiert und wütend gewesen darüber, dass ich alle paar hundert Meter an weggeworfenen Plastikwasserflaschen vorbeikomme, an liegengelassenen Plastiktüten, an benutzten Präservativen, an den Müllresten von Picknicks, die einfach irgendwo in die Büsche und Wiesen geworfen worden sind.

Oft finden sich Blumen am Wegesrand - oft auch andere Dinge.

Dann aber zeigte sich gerade an den beliebten Picknickplätzen, die sich zunehmend in Müllhalden entwickelten, etwas Neues. Auf handgeschriebenen, in Plastik eingeschweißten Zetteln, die an den Bäumen hingen, wurden die Spaziergänger und Picknickgesellschaften aufgefordert, die georgische Landschaft und ihre Schönheiten mit Müll zu verschonen und die Natur zu respektieren.

Diese Nachrichten waren in einer Kinderschrift verfasst. Es war offensichtlich, dass junge Leute diese Mahnungen ausgesprochen hatten. Vielleicht eine Gruppe von jungen Aktivisten, vielleicht eine engagierte Schulklasse. Und mehr noch: Diese jungen Leute hatten zugleich aufgeräumt an diesen Plätzen. Der schlimmste Dreck war, soweit er nicht einfach in irgendwelche Schluchten geworfen und nicht mehr zugänglich war, verschwunden.

ძვირფასო მასწავლებლებო და მოსწავლეებო, ძვირფასო მკითხველებო,

წინამდებარე კრებული თავს უყრის საქართველოში გოეთეს ინსტიტუტის მიერ ინიცირებული სპეციალური პროექტის - „გავერთიანდეთ მდგრადი მომავლისათვის“ - მიითებებს, იდეებს, შედეგებსა და გამოცდილებას. ეს პროექტი 2015 წლის ივნისიდან დეკემბრამდე სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანაში - სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში - მიმდინარეობდა. ის დაფინანსდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფონდიდან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის და მისი განხორციელება თქვენი განსაკუთრებული მონდომებისა და ინტერესის წყალობით გახდა შესაძლებელი. ამისათვის, უპირველესად, თქვენ გეკუთვნით ჩვენი მადლობა და პატივისცემა, ძვირფასო მასწავლებლებო და მოსწავლეებო!

გზა პროექტისკენ „გავერთიანდეთ მდგრადი მომავლისათვის“ და მისი პირდაპირი შედეგები მინდა ცხადვყო თბილისის ლამაზ შემოგარენში ჩემი რეგულარული სეირნობის მაგალითზე:

შშირად გულდანწყვეტილი და გაბრაზებული ვყოფილვარ, როდესაც ყოველი რამდენიმე ასეული მეტრის მანძილზე ბუჩქებში ან მდელოზე დაყრილ წყლის პლასტიკურ ბოთლებს, ძირს დაგდებულ პარკებს, გამოყენებულ პრეზერვატივებს, პიკნიკების შემდგომ საკვების ნარჩენებს ჩავუვლი ხოლმე.

მაგრამ შემდეგ პიკნიკების გასამართ პოპულარულ წერტილებში, სულ უფრო ნაგავსაყრელს რომ ემსგავსებოდნენ, ახალი რამ გამოჩნდა. ხეებზე დამაგრებული ხელნაწერი ლამინირებული ბარათები ფეხით მოსიარულეებსა და პიკნიკების მონაწილეებს მიმართავდნენ და მოუწოდებდნენ, საქართველოს ლამაზი პეიზაჟი არ დაეზავიანებინათ და ბუნებისათვის პატივი ეცათ.

ეს ბარათები ბავშვის ხელით იყო დაწერილი. ნათელი იყო, რომ მონოდების ავტორები ახალგაზრდები იყვნენ. ალბათ, ახალგაზრდა აქტივისტთა ჯგუფი, ან რომელიმე სკოლის კლასი.

უფრო მეტიც, ახალგაზრდებს ეს ადგილები დაუსუფთავებიათ. ის ნაგავი და ჭუჭყი, რომელიც ხეობებში უბრალო გადაგდებას გადაურჩა და ხელმისაწვდომი აღარ იყო, სადღაც გაქრა.

როდესაც ამგვარი სურათის მონმე ვხდები, კარგ გუნებაზე ვდგები და სეირნობას ვაგრძელებ. და როდესაც გოეთეს ინსტიტუტში იმაზე დავინწყეთ ფიქრი, თუ რა იდეებით შეგვეძლო აღმოსავლეთ პარტნიორობის დაფინანსების მოპოვება, გამახსენდა ამ უცნობი ახალგაზრდების ჯგუფი, რომლებიც საკუთარ ქვეყანასა და ბუნებას იცავდნენ.

Ich setze, wenn ich so etwas sehe, meine Wanderungen froher fort. Und als wir im Goethe-Institut begannen, Ideen zu entwickeln, mit denen wir uns um die Mittel der Östlichen Partnerschaft bewerben könnten, dachte ich an diese mir unbekannt Gruppen junger Leute, die sich für ihr Land und die Natur engagieren.

Ihnen nämlich wollen wir mit diesem Programm helfen. Helfen wollen wir nicht mit schönen Worten, sondern indem wir den Weg zu den jungen Leuten und zu ihrem Wissen über die Umwelt über die Schulen suchen. Über Lehrerinnen und Lehrer, die ihren Schülerinnen und Schülern nicht nur eine Sprache beibringen wollen, sondern Werte. Wir richten uns an Lehrende und Lernende, die die Welt verbessern wollen, und zwar vor ihrer Haustür. Die bei sich selber anfangen.

Unser Ansatz geht dabei über die traditionelle Sprachvermittlung hinaus. Wir verfolgen das Konzept des Content Integrated Language Learning. Mit dieser hochtrabenden Bezeichnung ist einfach nur gemeint, dass wir nicht nur Sprache vermitteln wollen, sondern auch interessante, wichtige Inhalte.

Inhalte darüber hinaus, die zum Handeln auffordern. Mit denen man etwas anfangen kann.

Unsere Hoffnung ist es, dass wir dazu beitragen können, dass man in den Schulen des Südkaukasus nicht nur Deutsch lernt, sondern dass man zugleich etwas über Nachhaltigkeit lernt. Und etwas darüber, dass jede und jeder etwas tun kann.

Die Seiten dieses Handbuches „Vernetzt für Nachhaltigkeit“ zeugen auf eindrucksvolle Weise vom großen Erfolg unseres Sonderprojektes. Für Ihre Unterstützung und Ihr Engagement bin ich Ihnen tief verbunden und voller Hoffnung, dass es auch mit dem Ende des Sonderprojektes nicht versiegen wird.

Ein letzter und sehr herzlicher Dank gebührt der Hochschule für Agrar- und Umweltpädagogik in Wien und insbesondere Willi Linder, ohne den das Projekt „Vernetzt für Nachhaltigkeit“ undenkbar gewesen wäre und der sich über die vergangenen Monate unermüdlich und oft in stundenlanger Nacharbeit um diese Seiten und vieles mehr verdient gemacht hat.

Ich wünsche Ihnen Freude und gewinnbringende Anregungen bei der Lektüre dieses Handbuches,

Ihr

Dr. Stephan Wackwitz

ამ პროგრამით სწორედ მათი დახმარება გვსურს. ჩვენ არ გვინდა, მათ დახმარება მხოლოდ ლამაზი სიტყვებით გავუწიოთ. ამ ახალგაზრდებისკენ და გარემოს შესახებ მათი ცოდნისკენ მიმავალმა გზამ სკოლებზე უნდა გაიაროს, მათ მასწავლებლებზე, რომლებიც მოსწავლეებს მხოლოდ ენას კი არ ასწავლიან, არამედ ღირებულებებს უყალიბებენ. ჩვენ იმ მასწავლებლებსა და მოსწავლეებზე ვართ ორიენტირებულნი, რომლებსაც სამყაროს გაუმჯობესება სურთ და ამას საკუთარი სახლის კარის წინ, საკუთარი თავით იწყებენ.

ჩვენი მიდგომა სცილდება ენის ტრადიციულ სწავლებას. ჩვენ ვიცავთ Content Integrated Language Learning-ის კონცეფციას. ეს მაღალფარდოვანი სახელი მხოლოდ იმას მიანიშნებს, რომ ამით არა მხოლოდ ენის სწავლებას ვგულისხმობთ, არამედ საინტერესო და მნიშვნელოვანი თემების წამოჭრაც გვსურს.

გარდა ამისა, ეს ის თემები უნდა იყოს, ადამიანს სამოქმედოდ რომ იწვევს, მისგან გარკვეულ რეაქციას რომ მოითხოვს.

იმედი გვაქვს, საკუთარ წვლილს შევიტანთ იმაში, რომ სამხრეთ კავკასიის სკოლებში არა მარტო გერმანული ენა ასწავლონ, არამედ მდგრადობის შესახებაც შეიტყონ და ამავდროულად გააცნობიერონ, რომ თითოეულს რაღაცის გაკეთების უნარი შესწევს.

ამ კრებულის - „გავერთიანდეთ მდგრადი მომავლისათვის“ - ფურცლები აშკარად მოწმობენ ჩვენი სპეციალური პროექტის დიდ წარმატებას. თქვენი მხარდაჭერისა და ერთგულებისთვის ძალიან გემადლიერებით და იმედი მაქვს, რომ ეს მიდგომა პროექტის დასრულების შემდეგაც არ გაქრება.

და ბოლოს, გულითადი მადლობა ვენის სოფლის მეურნეობის და ეკოლოგიური პედაგოგიის ინსტიტუტს და კერძოდ, ვილი ლინდერს, რომლის გარეშეც პროექტი „გავერთიანდეთ მდგრადი მომავლისათვის“ წარმოუდგენელი იქნებოდა, რომელიც ბოლო თვეებში დაუღალავად მუშაობდა, ხშირად ღამის საათებშიც კი, და რომელსაც ამ კრებულის შექმნაში დიდი დამსახურება მიუძღვის.

გისურვებთ, რომ ამ კრებულის კითხვამ სიამოვნება მოგანიჭოთ და საინტერესო აზრები აღგიძრათ.

თქვენი

დოქტ. შტეფან ვაკვიცი

ÜBER „VERNETZT FÜR NACHHALTIGKEIT“

Wären Sie vor gut sechs Monaten, bei einem Spaziergang durch die Berge vor Tbilissi auf einen jungen Menschen getroffen, der Deutsch spricht und mit Ihnen ins Gespräch gekommen wäre: Was „Vernetzt für Nachhaltigkeit“ bedeutet, hätte er Ihnen wahrscheinlich nicht beantworten können.

Heute, nach sechs Monaten intensiver Projektarbeit, sähe seine Antwort wahrscheinlich anders aus:

An „Vernetzt für Nachhaltigkeit“ haben über 32 Schulen mit insgesamt 100 Lehrerinnen und Lehrern und etwa 1000 junge



Gerlinde Massoudi, Eike Pockrandt, Gvantsa Khintibidze

Deutschlernende teilgenommen. Seit Juni 2015 haben im Rahmen des Sonderprojektes unter anderem die große Auftaktkonferenz in Tbilissi, eine Lehrersommerschule am Schwarzen Meer, sechs Lehrerfortbildungen in drei Ländern, ein Austausch mit Studierenden der Agrar- und Umweltpädagogik und fast 50 lokale Projektinitiativen stattgefunden.

Vorliegendes Handbuch soll helfen, die Ergebnisse der intensiven Projektarbeit zu sichern und kritisch zu reflektieren, Ideen und Anregungen weiterzutragen und nicht zuletzt die Dynamik und Energie der vergangenen Monate lebendig zu halten.

Dabei gebührt großer Dank in erster Linie den Lehrerinnen und Lehrern der beteiligten Schulen, die größtenteils in ihrer Freizeit und mit großem Engagement die lokalen Projektinitiativen vorangetrieben haben und wunderbar offen waren für die Anregungen und Methoden des Goethe-Instituts Georgien und der Hochschule für Agrar- und Umweltpädagogik Wien. Sie sind es, die auch in Zukunft den Raum für eine nachhaltige Bildung gestalten und den Schülerinnen und Schülern offene Denk- und Handlungsräume im Schulalltag ermöglichen. Dafür gebührt ihnen großer Respekt und Dank.

Wilhelm Linder, einem der Initiatoren und Planer von „Vernetzt für Nachhaltigkeit“ und unserem Partner, der Hochschule für Agrar- und Umweltpädagogik in Wien, sei für das große Vertrauen und unermüdliche Engagement gedankt, mit dem nicht zuletzt dieses Handbuch ermöglicht wurde.

“გავერთიანდეთ მდგრადი მომავლისათვის” - პროექტის შესახებ

სადაც ექვსი თვის წინ თბილისის შემოგარენში, მთებში სეირნობისას ახალგაზრდა, გერმანულად მოსაუბრე სამხრეთ კავკასიელს რომ გადაჰყროდით და მას გამოლაპარაკებოდით, ის, სავარაუდოდ, ვერ გიპასუხებდათ, თუ რას ნიშნავს „გავერთიანდეთ მდგრადი მომავლისათვის“.

დღეს, პროექტზე ინტენსიური მუშაობის ექვსი თვის შემდეგ, ახალგაზრდა სამხრეთ კავკასიელის პასუხი, ალბათ, სხვაგვარი იქნებოდა:

პროექტში „გავერთიანდეთ მდგრადი მომავლისათვის“ საერთო ჯამში მონაწილეობა მიიღო 32 სკოლის 100 მასწავლებელმა და 1000-მა გერმანული ენის შემსწავლელმა მოსწავლემ. 2015 წლის ივნისის შემდეგ ამ საგანგებო პროექტის ფარგლებში ბევრი რამ ჩატარდა: პროექტის გახსნისადმი მიძღვნილი დიდი კონფერენცია თბილისში, პედაგოგთა საზაფხულო სკოლა შავი ზღვის პირას, მასწავლებლების გადამზადების ექვსი კურსი სამ ქვეყანაში, სოფლის მეურნეობისა და ეკოლოგიური პედაგოგიის სტუდენტთა გაცვლა და თითქმის 50 ადგილობრივი საპროექტო ინიციატივა.

წინამდებარე კრებული მიზნად ისახავს, უზრუნველყოს პროექტზე ინტენსიური მუშაობის შედეგები და ასახოს ისინი კრიტიკულად, განავითაროს იდეები და წინადადებები, და ბოლოს, გასული თვეების იმპულსი და ენერჯია შეინარჩუნოს.

პირველ რიგში, დიდი მადლობა მონაწილე სკოლების მასწავლებლებს, რომლებმაც ადგილობრივ საპროექტო ინიციატივებზე დიდი მონდომებით, დიდწილად საკუთარ თავისუფალ დროს იმუშავეს, საოცრად ღია იყვნენ საქართველოს გოეთეს ინსტიტუტისა და ვენის სასოფლო-სამეურნეო და ეკოლოგიური პედაგოგიის ინსტიტუტის წინადადებებისა და მეთოდების მიმართ. სწორედ ისინი განსაზღვრავენ მდგრადი განათლების მომავალს და მოსწავლეებს სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში აზროვნებისა და მოქმედებისათვის სივრცეს უტოვებენ. ამისათვის ისინი დიდ პატივისცემასა და მადლიერებას იმსახურებენ.

დიდი მადლობა ვილჰელმ ლინდერს, პროექტის „გავერთიანდეთ მდგრადი მომავლისათვის“ ერთ-ერთ ინიციატორსა და ჩვენ პარტნიორს, ვენის სოფლის მეურნეობისა და ეკოლოგიური პედაგოგიის ინსტიტუტს, იმ დიდი ნდობისა და დაუღალავი ძალისხმევით, რომელთა წყალობითაც ამ კრებულის შედგენა გახდა შესაძლებელი.

სანამ 2015 წელს აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებული საგანგებო პროექტის დინამიურსა და შინაარსობრივად დატვირთულ სამყაროში შეხვალთ, გვსურს, საგზლად რამდენიმე ზოგადი მოსაზრება გაგატანოთ.

Bevor Sie nun in die Dynamik und den Ideenreichtum eines Sonderprojektes im Rahmen der Östlichen Partnerschaften im Jahr 2015 einsteigen, möchten wir Ihnen noch ein paar grundsätzliche Überlegungen mit auf den Weg geben.

„Vernetzt für Nachhaltigkeit“ lagen drei Ziele – oder nennen wir es besser Wünsche – zu Grunde, die die Mitarbeiterinnen und Mitarbeiter des Goethe-Instituts Georgien für sich festgelegt hatten:

1. ÜBER DIE FACETTEN, HERAUSFORDERUNGEN UND CHANCEN EINER NACHHALTIGEN ENTWICKLUNG AUFKLÄREN UND DISKUTIEREN

Georgien, Armenien und Aserbaidschan sind Länder, die sich in den letzten Jahren stark und vielfältig entwickelt haben. Gerade junge Menschen fragen sich jeden Tag aufs Neue, welche Ziele diese Entwicklung verfolgt werden kann und soll. Dabei ist die Rede nicht nur von wirtschaftlicher Entwicklung und der Suche nach dem eigenen Platz in der Gesellschaft, sondern auch vom politischen System, von kulturellen Einrichtungen, der sozialen Vorsorge, der Nutzung der Natur als Ressource und Vielem mehr. Junge Menschen fragen sich: Wie will ich leben? Wie sieht (m)ein gutes Leben aus?

„Vernetzt für Nachhaltigkeit“ soll den Austausch junger Menschen über eine lebenswerte Zukunft im Südkaukasus fördern und zu kreativen Prozessen der Problemlösung anregen.

2. SPRACHERWERB MIT SINNVOLLEN INHALTEN VERBINDEN

Unserer Überzeugung nach ist Sprache etwas zutiefst Lebendiges, das man nicht ausschließlich „im stillen Kämmerlein bei Wasser und Brot“ pauken darf, sondern in regem Austausch mit anderen Menschen erproben und festigen sollte. Es ist nur naheliegend, den Sprachunterricht mit Themen und Herausforderungen aus unserem Alltag Schritt für Schritt aufzuwerten und so für die Schülerinnen und Schüler interessanter zu gestalten.

„Vernetzt für Nachhaltigkeit“ soll den Rahmen für ein modernes, problem- und handlungsorientiertes Sprachenlernen schaffen, in dem Schülerinnen und Schüler Lust und Interesse verspüren, eigenständig zu denken und mitzugestalten und dabei die Sprache Deutsch zu verwenden.

3. DIE POSITION DER FREMDSPRACHE DEUTSCH IM SÜDKAUKASUS STÄRKEN

Deutsch als Fremdsprache neu zu lernen, ist leider auch im Südkaukasus kein Selbstläufer mehr. Wirtschaftliches Nutzenkalkül führt dazu, dass sich insbesondere junge Sprachlernende und ganze Bildungssysteme für Sprachen entscheiden, die auf den ersten Blick mehr Erfolgchancen versprechen. Dennoch sind wir der Ansicht, dass das Erlernen von Deutsch zahlreiche Türen öffnen kann. Sowohl in Hinblick auf zukünftige Studien- oder Berufsmöglichkeiten, und - was vielleicht viel wichtiger ist - im Hinblick auf unser Denken und Handeln: Denn Deutsch als Fremdsprache öffnet den Zugang zu

Projekten „გავერთიანდეთ მდგრადი მომავლისათვის“ სამი მიზანი - ან, უკეთესია ვთქვათ, სამი სურვილი - ამოძრავებდა, რომლებიც საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის თანამშრომლებმა თავად განსაზღვრეს:

1. მდგრადი განვითარების ასპექტების, გამოწვევებისა და შესაძლებლობების ახსნა და განხილვა

საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ის ქვეყნებია, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში მძლავრად და მრავალფეროვნად განვითარდა. სწორედ ახალგაზრდა ადამიანები ეკითხებიან საკუთარ თავს ყოველდღიურად, რა მიზნებს ისახავს ეს განვითარება და, განსაკუთრებით, თუ როგორ შეიძლება ან როგორ უნდა გაგრძელდეს ის. აქ საუბარია არა მხოლოდ ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოებაში საკუთარი ადგილის ძიებაზე, არამედ პოლიტიკურ სისტემაზე, კულტურის დანესებულებებზე, სოციალურ დაცვაზე, ბუნებით, როგორც რესურსით სარგებლობაზე და კიდევ ბევრ სხვა საკითხზე. ახალგაზრდები სვამენ კითხვას: როგორ მინდა ვიცხოვრო? როდის ვარ ბედნიერი? (როგორ ავანყო ბედნიერი ცხოვრება?)

პროექტმა „გავერთიანდეთ მდგრადი მომავლისათვის“ ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდებს შორის აზრთა გაზიარებას სამომავლო ღირებულ ცხოვრებაზე სამხრეთ კავკასიაში და ბიძგი მისცეს შემოქმედებით პროცესებს პრობლემის გადასაჭრელად.

2. ენის სწავლების მნიშვნელოვან თემებთან დაკავშირება

ჩვენი ღრმა რწმენით, ენა ცოცხალი ფენომენია, რომელიც „დახურულ კარს მიღმა (პურსა და წყალთან)“ კი არ უნდა დაიხურო, არამედ მისი დაგემოვნება ცოცხალ ადამიანებთან ურთიერთობით ეტაპობრივად უნდა ხდებოდეს. კარგია, თუკი ენის სწავლებას ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების საკითხებითა და გამოწვევებით გავამდიდრებთ და ამით მოსწავლეებს უფრო დავაინტერესებთ.

პროექტმა „გავერთიანდეთ მდგრადი მომავლისათვის“ ჩარჩოები უნდა შექმნას თანამედროვე, პრობლემებსა და ქმედებაზე ორიენტირებული ენის სწავლებისთვის, რაც მოსწავლეებს გერმანული ენის გამოყენებით დამოუკიდებელი ფიქრისა და ქმედების სურვილსა და ინტერესს აღუძრავს.

3. სამხრეთ კავკასიაში გერმანულის, როგორც უცხო ენის პოზიციების გაძლიერება

სამწუხაროდ, გერმანულის, როგორც უცხო ენის შესწავლა, სამხრეთ კავკასიაშიც უკვე აღარ ხდება ავტომატურად. ეკონომიკური სარგებლის პრინციპიდან გამომდინარე, ახალგაზრდობაც და მთელი საგანმანათლებლო სისტემებიც იმ ენებს ირჩევენ, რომლებსაც, ერთი შეხედვით, წარმატების უფრო მეტი შანსი აქვთ. მიუხედავად ამისა, ჩვენ გვჯერა, რომ გერმანული ენის შესწავლას უამრავი კარის გაღება შეუძლია, - როგორც სამომავლოდ უმალღესი განათლებისა და პროფესიული შესაძლებლობების თვალსაზრისით, ასევე, - რაც, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანია, - აზროვნებისა და ქმედების თვალსაზრისითაც: გერმანული, როგორც უცხო

einem großen Kulturraum mit einer reichen Geschichte an Ideen und Perspektiven, zu denen Deutsch der Schlüssel ist. „Vernetzt für Nachhaltigkeit“ soll Deutsch als Fremdsprache mit dem breiten Horizont an Chancen und Möglichkeiten sichtbar und erfahrbar machen und den wichtigsten Akteuren in der Vermittlung - den Lehrerinnen und Lehrern - Gestaltungsspielraum öffnen.

Wir hoffen, dass die konkrete Ausgestaltung des Sonderprojektes „Vernetzt für Nachhaltigkeit“ diese Wünsche sicht- und vor allem erfahrbar gemacht hat.

Programmatisch lässt sich das Sonderprojekt in drei sich zeitlich überschneidende Phasen gliedern:

Die erste Phase fokussierte auf die Aus- und Weiterbildung von Deutschlehrenden. Während des einwöchigen **Lehrersommercamps in Kvariat am Schwarzen Meer** erarbeiteten 25 Multiplikator/innen Strategien zur Implementierung nachhaltiger Bildung im Deutschunterricht. Dabei betreute Pati Ramishvili Seminareinheiten zum Thema „Handlungsorientierung und Projektunterricht“, während Wilhelm Linder für die verschiedenen Dimensionen des Begriffs „Nachhaltigkeit“ sensibilisierte und die Gruppe dazu mehr als einmal an den Strand, in die Berge oder den botanischen Garten führte.

Von sechs darauf folgenden Seminaren baute eine in allen drei Ländern stattfindende Fortbildung zum Thema **„CLIL und Umweltbildung“**, geleitet von **Bernadett Veress**, direkt darauf auf. Ganz konkret wurden Anknüpfungspunkte aus dem alltäglichen Deutschunterricht mit Fragen der Umweltbildung verbunden, und eine stärkere Ausrichtung des Deutschunterrichts auf CLIL systematisiert.



Henning Jacobsen leitete in Baku ein praktisch orientiertes Seminar zum Thema **„Angewandte Umweltpädagogik“**, das auf die Transformation klassischer Lern- und Lehrsettings zu kreativen Gestaltungsräumen abzielte. Lehrende erkundeten außerschulische Lernorte in Verbindung mit konkreten Projektideen

und führten diese nach intensiver und betreuter Planung mit ihren Schülerinnen und Schüler durch.

Dr. Hildegard Kurt beleuchtete im Seminar **„Die wandelnden Gärten“** in Tbilissi die Bedeutung der bildenden Kunst für eine auf Nachhaltigkeit ausgerichtete Bildung und ermutigte

ენა ხელმისაწვდომს ხდის იდეებითა და პერსპექტივებით მდიდარი ისტორიის მქონე დიდ კულტურულ სივრცეს, რომელსაც გასაღებად გერმანული ენა მოერგება. პროექტმა „გავერთიანდეთ მდგრადი მომავლისათვის“ დასაწახი უნდა გახადოს გერმანულის, როგორც უცხო ენის, შესაძლებლობების ფართო ჰორიზონტები და ამ პროცესის ყველაზე მნიშვნელოვან შუამავლებს - მასწავლებლებს - სამოქმედო მოედანი გაუთავისუფლოს.

ჩვენ იმედს გვაქვს, რომ სპეციალური პროექტის „გავერთიანდეთ მდგრადი მომავლისათვის“ კონკრეტულად ჩამოყალიბებამ ეს სურვილები ხილულად და ხელშესახებად აქცია.

პროგრამულად პროექტის დაყოფა სამ, ერთმანეთის გადაშურავ ეტაპად შეიძლება:

პირველი ეტაპი ორიენტირებულია გერმანული ენის პედაგოგთა განათლებასა და გადამზადებაზე. კვარიათში, შავი ზღვის პირას, მასწავლებელთა ერთკვირიანი საზაფხულო ბანაკის დროს 25-მა მულტიპლიკატორმა შეიმუშავა გერმანული ენის გაკვეთილებზე მდგრადი განათლების დანერგვის სტრატეგიები. აქ ფატი რამიშვილი კურირებდა სასემინარო ბლოკს თემაზე „ქმედებაზე ორიენტაცია და პროექტის სწავლება“, ხოლო ვილჰელმ ლინდერი ჯგუფს „მდგრადობის“ სხვადასხვა განზომილებებზე ამუშავებდა და ამასთან დაკავშირებით არაერთი კოლექტიური გასვლა მოაწყო სანაპიროზე, მთებსა და ბოტანიკურ ბაღში.

შემდგომი ექვსი სემინარით, სამივე ქვეყანაში მიმდინარე ტრენინგისთვის თემაზე **„CLIL და ეკოლოგიური განათლება“** ბერნადეტ ვერესის ხელმძღვანელობით, განვილილ მასალაზე ერთგვარი ზედნაშენი გაკეთდა. ნაპოვნი იქნა კონკრეტული შეხების წერტილები გერმანულის ყოველდღიურ სწავლებასა და ეკოლოგიურ განათლებას შორის და ამასთანავე, გერმანული ენის გაკვეთილების CLIL-ზე უფრო მკაფიო ორიენტაცია მოხდა.

ჰენინგ იაკობსენი ბაქოში ხელმძღვანელობდა პრაქტიკულ სემინარს **„გამოყენებითი ეკოლოგიური პედაგოგიკა“**, რომელიც მიზნად ისახავდა ტრადიციული სწავლებისა და სწავლის პარამეტრების შემოქმედებით სივრცეებად გადაკეთებას. პედაგოგები შეისწავლიდნენ სკოლის გარეთ არსებულ გაკვეთილის ჩასატარებლად ვარგის სივრცეებს, რომლებსაც პროექტის გარკვეულ იდეებს უკავშირებდნენ და ინტენსიური კურირების ქვეშ დაგეგმვის შემდეგ თავის მოსწავლეებთან ერთად განახორციელებდნენ.

დოქტორი ჰილდეგარდ კურტი თბილისში ჩატარებულ სემინარზე სახელწოდებით **„ცვალებადი ბაღები“** საუბრობდა სახვითი ხელოვნების მნიშვნელობაზე მდგრადობაზე ორიენტირებული განათლებისათვის და წახალისა მასწავლებლები საკუთარ თავებსა და მოსწავლეებში ფერწერის ნიჭის აღმოსაჩენად, რათა მათ გარშემო მყოფ ადამიანებს სწორედ ამგვარი გზით მოუწოდონ და შეაძლებინონ აუცილებელი ცვლილებების გატარება და უკეთესი სამყაროსთვის მოღვაწეობა.

die Lehrenden, den Künstler in sich selber und in den Schülerinnen und Schülern zu entdecken und so die Mitmenschen zu befähigen und zu berufen, den notwendigen Wandel zu einer lebensfördernden Welt mitzugestalten.

Prof. Dr. Steffen Roth schließlich nutzte sein Seminar „Nachhaltigkeit und Wertpluralismus“ dazu, die Facetten des Begriffs „Nachhaltigkeit“ in einer pluralistischen Gesellschaft zu diskutieren und Interessenkonflikte und Widersprüche im Zuge einer nachhaltigen Entwicklung deutlich zu machen. Ins Zentrum des nie endenden Auflösungsprozesses dieser Widersprüche rückte bald eine lebendige Zivilgesellschaft, deren Nährboden und Basis die Lehrerinnen und Lehrer in den Schulen des Südkaukasus heute legen.

Die zweite Phase richtete sich dann an die Schülerinnen und Schüler, die, angeleitet von ihren Lehrerinnen und Lehrern, **Projektmöglichkeiten an ihren Schulen eruieren, planen und schließlich durchführen sollten**. Dabei wurden die Schulen inhaltlich und organisatorisch vom Nachhaltigkeitsbüro im Goethe-Institut und außerdem durch einen Besuch junger Studierender der Agrar- und Umweltpädagogik aus Wien unterstützt. Insbesondere dieser Besuch der Studierenden erwies sich als große Bereicherung für beide Seiten. Abschließend finden sich zahlreiche Anregungen aus den Seminaren und dem Austausch in den Projektberichten, die Bestandteil dieser Publikation sind, wieder.

Die dritte und letzte Phase zielte schließlich auf eine breitere Öffentlichkeit ab, die im Rahmen der Auftakt- und Abschlusskonferenz und zahlreicher weiterer öffentlicher Veranstaltungen auf der einen Seite für die Belange einer nachhaltigen Entwicklung und Bildung, auf der anderen Seite für die Fremdsprache Deutsch als „Ideengenerator und -motor“ aufmerksam machen sollte.

Wir sind für die Zeit mit „Vernetzt für Nachhaltigkeit“ – Ihre Mitarbeit, Ihr Interesse, Ihr Engagement – sehr dankbar. Und wir hoffen, dass etwas bleibt. Nicht nur das Handbuch „Vernetzt für Nachhaltigkeit“.

Ihre

Gerlinde Massoudi
Stellv. Institutsleiterin und Leiterin der Sprachabteilung

Gvantsa Khintibidze & Eike Pockrandt
Projektleitung

და ბოლოს, პროფესორმა შტეფენ როტმა თავის სემინარზე “მდგრადობა და ღირებულებათა პლურალიზმი” განიხილა “მდგრადობის” ცნების ასპექტები პლურალისტურ საზოგადოებაში და ყურადღება გაამახვილა მდგრადი განვითარების პროცესში ინტერესთა კონფლიქტებზე და წინააღმდეგობებზე. წინააღმდეგობათა გადალახვის დაუსრულებელი პროცესის ცენტრში მალე ცოცხალი სამოქალაქო საზოგადოება აღმოჩნდა, რომლის მასაზრდოებელ ნიადაგსა და საფუძველს დღეს სამხრეთ კავკასიის სკოლების მასწავლებლები ქმნიან.

მეორე ეტაპი ორიენტირებული იყო მოსწავლეებზე, რომლებსაც პედაგოგების ხელმძღვანელობით, პროექტის განხორციელების შესაძლებლობები თავიანთ სკოლებში უნდა მოეძიათ, დაეგეგმათ და, საბოლოოდ, განეხორციელებინათ კიდევ. სკოლებს შინაარსობრივი და საორგანიზაციო თვალსაზრისით მხარში ამოუდგნენ გოეთეს ინსტიტუტის მდგრადობის ოფისი და საქართველოში სტუმრად მყოფი, ვენის სოფლის მეურნეობისა და ეკოლოგიური პედაგოგიკის ინსტიტუტის სტუდენტები. განსაკუთრებით, სტუდენტების ეს ვიზიტი ძალზე სასარგებლო აღმოჩნდა ორივე მხარისათვის და საბოლოოდ, პროექტის საანგარიშო მოხსენებებში სწორედ ამ სემინარებზე მიღებული იმპულსები აისახა და ამ კრებულშიც შევიდა.

მესამე და დამაგვირგვინებელი ეტაპის სამიზნე საბოლოოდ ფართო საზოგადოება იყო, რომელთანაც, ერთის მხრივ, პროექტის გახსნისა და შემაჯამებელ კონფერენციებზე და, ასევე, სხვა მრავალი ღონისძიების ფარგლებში მდგრადი განვითარებისა და განათლების საჭიროებებზე უნდა ყოფილიყო საუბარი, მეორეს მხრივ კი ყურადღება გამახვილებულიყო გერმანული ენის შესწავლაზე, როგორც „იდეების გენერატორსა და მამოძრავებელ მექანიზმზე“.

ჩვენ ძალიან მაღლიერები ვართ თქვენი იმ თანამშრომლობისთვის, ინტერესისა და მონდომებისათვის, რომელიც თქვენ პროექტის მიმდინარეობისას გამოიჩინეთ. იმედი გვაქვს, რომ ამ კრებულის -„გავერთიანდეთ მდგრადი მომავლისათვის“ - გარდა კიდევ რაღაც დაგვრჩება.

თქვენი
გერლინდე მასუდი
გოეთეს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე და ენის განყოფილების ხელმძღვანელი

გვანცა ხინთიბიძე & აიკე პოკრანტი
პროექტის ხელმძღვანელები

NACHHALTIGE ENTWICKLUNG

მდგრადი განვითარება

STEFAN SCHLEICHER

GEMEINSAM DAS GUTE LEBEN SUCHEN

Das ist die Herausforderung für jede/n von uns: Ein Leben so zu führen, dass wir es als gut und geglückt bezeichnen können. Fast niemand kann dies von sich behaupten und es gibt immer mehr Anzeichen dafür, dass solches Bemühen immer schwieriger zu werden scheint: In den Industriestaaten nimmt der Anteil der Armut zu; die damit verbundenen sozialen Konflikte steigen an; der Zustand von Wasser, Luft und Boden signalisiert, dass unser gegenwärtiger Wirtschaftsstil eigentlich nicht globalisierungswürdig ist.

WARUM WIR UNS AUF DIE SUCHE BEGEBEN SOLLEN

Es gibt deshalb viele Gründe, unseren Lebens- und Wirtschaftsstil zu überdenken. Das betrifft an erster Stelle jene Staaten, die nach den Indikatoren des Einkommens zu den reichsten zählen. Das betrifft aber vielmehr noch jene Länder, die sich einer fundamentalen Änderung in ihren wirtschaftlichen Strukturen aussetzen und zum scheinbaren Reichtum der alten Industriestaaten anschließen wollen.

Von den USA bis China, von Marokko bis Indien und von Österreich bis Georgien stellt sich neu diese Frage: Wie soll eine Wirtschaft aussehen, die ein gutes Leben unterstützt? Dazu wurden und werden noch immer schnelle und, wie sich bald herausstellt, verkürzte Antworten gegeben. Vor allem die Empfehlung, möglichst schnell die Wirtschaft den Entscheidungen der Märkte zu überlassen. Inzwischen realisieren wir, dass diese Märkte sehr oft nicht fair sind, weil eben die wirtschaftlich Mächtigen nicht der Versuchung widerstehen können, ihre Macht gegenüber Politik und bis zu den Konsument/innen auch auszuspielen.

Die beste und ehrlichste Antwort für die Suche nach einem guten Leben ist somit die, dass wir die damit verbundenen Entscheidungen nicht irgendwohin delegieren können, am allerwenigsten in den Bereich der Politik. Bevor wir die vielleicht zu schnellen Antworten geben, einige Vorschläge, welche Fragen zu stellen wären.

WELCHE FRAGEN ZU STELLEN WÄREN WAS SOLL BLEIBEN?

Viele Erfahrungen in den als reich eingestuften Industriestaaten reflektieren Verluste. Verloren gegangen sind oft die guten sozialen Netze, die durch viel Solidarität im gesamten Umfeld geprägt sind, das den Alltag von privatem und beruflichem tätig sein ausmacht. Verloren gegangen ist oft die Integrität des Bauens, die über Jahrhunderte in den Dörfern und Städten bewusst gepflegt wurde. Verloren gegangen ist viel an Qualität in jenen Produkten, die wir wohl als Lebensmittel bezeichnen, die aber diese Etikettierung eigentlich nicht mehr verdienen.

შეფასან შლახისხარი

ერთად ვეძიოთ კარგი ცხოვრება

თითოეული ჩვენგანისთვის გამონკვევაა ისეთი ცხოვრება, რომელიც კმაყოფილების გრძნობით აგვავსებდა და გვაგრძნობინებდა, რომ გაგვიმართლა. თითქმის არავის შეუძლია ეს საკუთარ თავზე თქვას და სულ უფრო მეტად თვალში საცემი ხდება ის, რომ ეს ძალისხმევა უფრო და უფრო მეტ სირთულეებს აწყდება. ინდუსტრიულ ქვეყნებში სიღარიბის ხვედრითი წილი იზრდება; ამასთან დაკავშირებული სოციალური კონფლიქტები მატულობს; წყლის, ჰაერისა და ნიადაგის მდგომარეობა მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენი დღევანდელი ეკონომიკური სტილის გლობალიზება ნამდვილად არ ღირს.

რატომ უნდა შევუდებოთ ძიებას

ამიტომაც ჩვენი ცხოვრებისა და ეკონომიკის სტილის გადაფასების უამრავი მიზეზი არსებობს. ეს, უპირველესად, იმ სახელმწიფოებს ეხება, რომლებიც შემოსავლის მაჩვენებლებით ყველაზე მდიდართა რიცხვს მიეკუთვნებიან. თუმცა, გაცილებით მეტად ეს იმ ქვეყნებს ეხება, თავის ეკონომიკურ სტრუქტურებს ძირითადად რომ ცვლიან და ძველი ინდუსტრიული სახელმწიფოების მოჩვენებით სიმდიდრეს რომ უღებენ კარს.

აშშ-დან ჩინეთამდე, მაროკოდან ინდოეთამდე და ავსტრიიდან საქართველომდე ხელახლა ჟღერს კითხვა: როგორი უნდა იყოს ეკონომიკა, რომელიც ჩვენ კარგ ცხოვრებას შეუწყობს ხელს? ამ კითხვას, როგორც მალე გამოჩნდება, ადრეც და დღესაც სწრაფად და მოკლედ პასუხობენ. სწორედ ამგვარია რჩევა, ეკონომიკა სასწრაფოდ ბაზრების გადანყვეტილებას შეეუსაბამოთ. ამასობაში იმის გაცნობიერება ხდება, რომ ბაზარი ხშირად არ არის სამართლიანი, რადგანაც ეკონომიკურად ძლიერნი ვერ უძლებენ ცდუნებას, თავისი ძალაუფლება ყველაფერზე გაავრცელონ: პოლიტიკიდან დაწყებული, მომხმარებელით დამთავრებული.

საუკეთესო და ყველაზე პატიოსანი პასუხი კარგი ცხოვრების ძიების გზაზე ის იქნებოდა, რომ ჩვენი გადანყვეტილებები არავის გადავაბაროთ, ყველაზე ნაკლებად პოლიტიკის სფეროს. სანამ დასმულ კითხვაზე სწრაფ პასუხებს გავცემდეთ, კიდევ რამდენიმე კითხვას გთავაზობთ, რომლის დასმაც ღირს.

რა კითხვების დასმა შეიძლება რა უნდა დარჩეს?

მრავალი მდიდრად შერაცხული ინდუსტრიული ქვეყნის გამოცდილება დანაკარგებს გვიჩვენებს. ხშირად იკარგება კარგად ჩამოყალიბებული, სოლიდარობის გრძნობით გაფლენილი სოციალური კავშირები, რაც პირად ცხოვრებასა და სამუშაო ყოველდღიურობას ქმნის. დაიკარგა არქიტექტურული მთლიანობა, რომელსაც სოფლად თუ ქალაქად საუკუნეების მანძილზე ცნობიერად ინარჩუნებდნენ. დაიკარგა იმ პროდუქტების ხარისხი, ჩვენ რომ საკვებს ვეძახით და რომლებმაც ამ სახელის ტარების უფლება დაკარგეს. ეს გამოცდილება ბევრს გვასწავლის. ჩვენმა საზოგადო-

Aus diesen Erfahrungen ist viel zu lernen. Die Wichtigkeit von solidarischem Handeln in unserer Gesellschaft ist wieder zu entdecken und in bewussten Gegensatz zu jener Ideologie zu stellen, die uns eine Gesellschaft des Eigennutzes und der Gier suggeriert. Was immer noch an kostbarer Bausubstanz aus der Vergangenheit vorhanden ist, verdient meist sorgfältig behütet zu werden und ist nicht den Abbruchmaschinen von Immobilienspekulanten auszuliefern. Nahrungsmittel sollen uns wirklich mit Leben erfüllen und nicht nur Kalorien anbieten. Das bedeutet den Abschied von vielen Praktiken der industriellen Landwirtschaft, die von belastender Chemie in den Böden bis zu der verheerenden Beigabe von Antibiotika in der Tierhaltung reicht.

WORAUF SOLLEN WIR BEDACHT NEHMEN?

Zu den gravierendsten Irrtümern in den Wirtschaften der als reich eingestuften Industrieländer zählen die Maße, mit denen wirtschaftlicher Erfolg gemessen wird. Auf der Ebene von Konsument/innen sind das die Maße des Einkommens, auf der Ebene der Unternehmungen sind wir auf Gewinne fokussiert und bei der Beurteilung der gesamten Wirtschaft starren wir gebannt auf das Maß des Brutto-Inlandsprodukts (BIP). Alle diese Maße verdienen weiter Aufmerksamkeit, sie sagen jedoch immer weniger über die Erfahrung von Wohlstand aus.

Viele Familien erkennen, dass sie sich wohl ein scheinbar akzeptables Einkommen beschaffen können, dass dieses Einkommen aber immer weniger ausreicht, um ihre Bedürfnisse zu erfüllen. In vielen Familien sind das die beispielsweise immer höher werdenden Kosten für Wohnen und für Mobilität, weil eben die Arbeitswege immer länger werden. Diesen Problemen zugrunde liegen eine unkontrollierte Verfügbarkeit von Boden und damit verbundene teure Folgen von spekulativen Immobiliengeschäften sowie eine schlechte Raumplanung, die eine bessere Abstimmung von Wohnen, Arbeiten und sonstigen Aktivitäten aus dem Blick verloren hat.

Gewinne scheinen das einzige Maß für die Entscheidungen in Unternehmungen geworden zu sein, genauer gesagt, immer höhere Gewinne ohne Rücksicht auf die damit verbundenen unerwünschten Folgen. Diese reichen von krank machenden Arbeitsbedingungen, hoher Unsicherheit über die Dauer eines Beschäftigungsverhältnisses bis zu Manipulationen in den Bilanzen, um den Aktionären noch Gewinne vorzutauschen, wo eigentlich keine mehr zu finden sind. Eine besonders destruktive Rolle haben inzwischen die meisten Unternehmungen der Finanzwirtschaft eingenommen, die in der Gier nach Bilanzgewinnen den Schwerpunkt ihrer Geschäfte auf Praktiken verlegt haben, die am besten als Casino-Aktivitäten charakterisiert werden können.

Der gesamtwirtschaftliche Indikator Brutto-Inlandsprodukt ist deshalb brüchig geworden, weil er immer mehr Reparaturaufwendungen für die Bewältigung von Schäden in unserer Wirtschaft aufweist. Das sind beispielsweise aktuell immer

ბამ ხელახლა უნდა აღმოაჩინოს სოლიდარული ქმედების მნიშვნელობა და საგანგებოდ დაუპირისპიროს იგი პირადი სარგებლისა და გაუმადლოების იდეოლოგიას. რაც კი რამე დარჩენილა წარსულის ძვირფასი სამშენებლო ფონდიდან, გაფრთხილებას მოითხოვს და არა უძრავი ქონების სპეკულანტების მიერ გამოგზავნილი სანგრევი მანქანებით გადავლას. პროდუქტებმა, მართლაც, სიცოცხლით უნდა აგვავსონ და არა მხოლოდ კალორიებით მოგვამარაგონ. ეს ნიშნავს სამრეწველო სასოფლო მეურნეობის მრავალ პრაქტიკასთან გამომშვიდობებას, ნიადაგში დამანგრეველი ქიმიური საშუალებების შეტანით დაწყებული, მეცხოველეობაში ანტიბიოტიკების გამოყენებით დამთავრებული.

რა უნდა გავითვალისწინოთ?

მდიდრად შერაცხული ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკის მთავარი შეცდომა ეკონომიკური წარმატების საზომ ერთეულს უკავშირდება. მომხმარებელთა დონეზე ეს შემოსავლების რაოდენობაა, საწარმოების დონეზე ყურადღების ცენტრში მოგება დგას, ხოლო მთლიანი ეკონომიკის შეფასებისას მხოლოდ მთლიან შიდა პროდუქტს (მშპ) ვჭვრეტთ დაჟინებით. ყველა ეს პარამეტრი ყურადღებას იმსახურებს, თუმცა, კეთილდღეობაზე სულ უფრო ნაკლებს მეტყველებს.

მრავალი ოჯახი აცნობიერებს, რომ მათ ერთი შეხედვით მისაღები შემოსავლის მიღება შეუძლიათ, თუმცა, ეს შემოსავალი სულ უფრო ნაკლებად იქნება საკმარისი მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ბევრ ოჯახში ეს ეხება, მაგალითად, საცხოვრებელ ბინებსა და ტრანსპორტთან დაკავშირებულ მაღალ ხარჯებს, რადგანაც მომუშავე მოსახლეობას სულ უფრო მეტი მანძილების დაფარვა უხდება. ამ პრობლემებს საფუძვლად უდევს მინის უკონტროლო ხელმისაწვდომობა, ამასთან დაკავშირებული უძრავი ქონებით სპეკულაციების ძვირადღირებული შედეგები და ცუდი დაგეგმარება, რომელიც არ ითვალისწინებს ცხოვრების, სამსახურისა და სხვა საქმიანობის ურთიერთშეთანხმებულობას.

მოგება საწარმოების მიერ მიღებული გადანყვეტილებების ერთადერთ საზომ ერთეულად განიხილება, უფრო სწორედ, საუბარია უფრო მაღალ შემოსავლებზე მათთან დაკავშირებული არასასურველი შედეგების გაუთვალისწინებლად. ეს უკანასკნელნი კი იწყებიან ავადმყოფობის გამოწვევი სამუშაო პირობებით, დასაქმების გაურკვეველი ხანგრძლივობით და მთავრდებიან ბალანსებთან დაკავშირებული მანიპულაციებით, აქციონერებთან არარსებული მოგებების წარსადგენად. განსაკუთრებით დესტრუქციული როლი ამასობაში იტვირთეს საფინანსო სექტორთან დაკავშირებულმა საწარმოებმა, რომლებმაც, საბალანსო მოგებების მოხვეჭით გართულებმა, თავისი საქმიანობის ძირითადი აქცენტი ისეთ პრაქტიკებზე გადაიტანეს, რომლებსაც უფრო კაზინოს საქმიანობად თუ მოიხსენიებ.

მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, მთლიანი შიდა პროდუქტი იმატომაც აღარ არის მყარი, რომ მუდმივად უხდება ხარჯების განევა ჩვენი ეკონომიკისთვის მიყენებული ზიანის გამოსასწორებლად. ეს, მაგალითად, ეხება გარე და შიდა

höhere Ausgaben für die innere und äußere Sicherheit, weil eben viel Sozialkapital mit der Qualität Vertrauen verloren gegangen ist. Das sind aber auch immer mehr Aufwendungen zur Kompensation von Schäden, beispielsweise Ausgaben für Gesundheit, weil uns Nahrungsmittel, Arbeitsbedingungen und sehr oft auch die Verschmutzung von Luft und Wasser krank machen.

WAS DESHALB ZU TUN WÄRE

An erster Stelle ist daran zu erinnern, dass jeder einzelne von uns sich diesen Fragen stellen soll, und dass wir uns Mut machen sollen, nach gemeinsamen Antworten zu suchen. Niemand soll sich von der Beantwortung mit dem Hinweis ausschließen lassen, dass dafür mehr Kompetenz notwendig wäre. Weder Manager/innen noch Politiker/innen, aber auch nicht Professor/innen an Universitäten haben für eine zufriedenstellende Antwort auf diese Fragen bessere Voraussetzungen. Es gibt sogar Gründe, gerade diesen Personen mit einer besonderen Vorsicht zu begegnen, weil sie sehr oft nicht offen gelegte Interessen vertreten.

Das soll jedoch nicht bedeuten, dass wir die Entwicklung von Kompetenzen vernachlässigen dürfen. Vom Kindergarten bis zu den Einrichtungen für Senioren/innen wird die Tugend nach einem lebensbegleitenden Lernen nie aufzugeben sein. Welche Inhalte dieses Lernen haben soll, darüber wird permanent von jedem/r einzelnen von uns nachzudenken sein. Auch das dürfen wir nicht irgendwohin auslagern.

Univ. Prof. emer. Dr. Stefan P. Schleicher

vom Wegener Center für Klima und globalen Wandel der Universität Graz beschäftigt sich mit Konzepten für zukunftsfähige Wirtschaftsstrukturen, vor allem in den Bereichen Energie und Klima. Forschung und Lehre führten ihn an die Universität in Bonn, die Universität Pennsylvania und die Stanford Universität. Am Österreichischen Institut für Wirtschaftsforschung in Wien ist er Konsulent. Er ist Co-Autor des 4. Assessment Reports des IPCC und im Rahmen der EU in die Energie- und Klimapolitik involviert. Aktuelle Forschungsprojekte sind Perspektiven für die Transformation des österreichischen Energiesystems zur Erreichung von nachhaltigen Strukturen bis 2050 und ein Aktionsplans zur Förderung erneuerbarer Energien.

უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სულ უფრო მზარდ ხარჯებს, რადგანაც ნდობის ხარისხთან ერთად დიდი სოციალური კაპიტალი დაიკარგა. თუმცა, ეს ასევე, ზარალის კომპენსაციასთანა დაკავშირებული, მაგალითად, ჯანდაცვასთან, რადგანაც საკვები პროდუქტები, სამუშაო პირობები და ხშირად ჰაერისა და წყლის დაბინძურება ავადმყოფობებს იწვევს.

რა უნდა გააკეთდეს ამისათვის

უპირველეს ყოვლისა, უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რომ თითოეულმა ჩვენგანმა ეს კითხვები დასვას და საკუთარ თავში ძალები მონახოს მათზე პასუხების საძიებლად. არავინ უნდა აარიდოს თავი პასუხებს იმის მომიზეზებით, რომ ამისათვის მეტი კომპეტენტიურობაა საჭირო. არც მენეჯერებს, არც პოლიტიკოსებს და არც უნივერსიტეტის პროფესორებს ამ კითხვებზე პასუხების გასაცემად უკეთესი წინაპირობები არ გააჩნიათ. იმის მიზეზებიც კი არსებობს, სწორედ ამ ადამიანებს განსაკუთრებული სიფრთხილით მოვეკიდოთ, რადგანაც ისინი ხშირად არც თუ ისე აშკარად დასანახ ინტერესებს იცავენ.

თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ კომპეტენციის განვითარებაზე ხელი უნდა ავიღოთ. საბავშვო ბაღიდან მოხუცთა სახლებამდე მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სიკეთე არ უნდა უარყოფთ. ხოლო ის, თუ რა უნდა ვისწავლოთ, ამაზე თითოეულმა ჩვენთაგანმა თავად უნდა იფიქროს. დაუშვებელია, რომ ამ საკითხის გადაწყვეტაც ვინმე სხვას გადაეპაროს.

პროფ. დოქტ. შტეფან პ. შლაიხერი

გრაცის უნივერსიტეტის ვეგენერის სახ. კლიმატისა და გლობალური ცვლილებების ცენტრში დაკავებულია მომავლის ეკონომიკური სტრუქტურების კონცეფციებზე მუშაობით, უპირველეს ყოვლისა, ენერგეტიკისა და კლიმატის სფეროებში. საკვლევედა და პედაგოგიურმა მოღვაწეობამ იგი ბონის, პენსილვანიისა და სტენფორდის უნივერსიტეტებში მიიყვანა. ის კონსულტანტად მუშაობს ავსტრიის ეკონომიკური კვლევის ინსტიტუტში ვენაში. IPCC-ის მე-4 ანალიტიკური ანგარიშის თანაავტორია და ევროკავშირის ფარგლებში ენერგეტიკისა და კლიმატის პოლიტიკაშია ჩართული. აქტუალური საკვლევი პროექტები ეხება 2050 წ.-მდე ავსტრიის ენერგოსისტემაში მდგრადი სტრუქტურების შექმნის პერსპექტივებს და განახლებადი ენერჯიების ხელშეწყობის სამოქმედო გეგმას.

FRANK HOLZFÖRSTER

DIE ERDE LESEN LERNEN – EIN WEG ZUR ENTWICKLUNG VON KOMPETENZEN FÜR EINE NACHHALTIGE ENTWICKLUNG

Nachhaltige Entwicklung denkt generationenübergreifend, in langen Zeiträumen. Wenn künftige Generationen die gleichen Lebenschancen vorfinden sollen, müssen wir uns fragen, wie lange es braucht, bis gefährliche Abfälle abgebaut werden oder in welchen Zeiträumen Emissionen wieder gebunden werden. Die Geowissenschaften helfen uns bei diesem Denken.

Blicken wir auf die Welt vor etwa 250-300 Millionen Jahren. Die Erde sah anders aus als heute. Anstelle der fünf Kontinente existierte eine einzige riesige Landmasse – Pangäa. Sie ist entstanden, weil die Kontinentalplatten sich bewegen, zusammengeschoben werden – wo sie zusammenstoßen, entstehen Gebirge. Eine solche ehemalige Kollisionszone befindet sich heute in Deutschland. Und hier forscht und lehrt unsere Umweltstation. 1987 starteten die deutschen Geowissenschaftler/innen in Kooperation mit Wissenschaftler/innen aus 17 Ländern ein Forschungsprojekt, es entstand das derzeit tiefste jemals gebohrte Loch (9.101 m). Heute versteht man mit Hilfe dieser Bohrung, wie die kontinentale Erdkruste aufgebaut ist, die feste, aber nur sehr dünne, oberste Schicht unseres Planeten Erde, die Schicht, auf der und von der alle Menschen leben. Davon zu erzählen ist Aufgabe des Umweltbildungszentrums, mit dem Ziel, jene Kompetenzen der Menschen zu fördern, die Voraussetzung für ein nachhaltiges Leben sind. Einige dieser Kompetenzen hat Gerhard de Haan als Gestaltungskompetenzen definiert. (Siehe in den folgenden Abschnitten). Zu diesen Kompetenzen werden von unserer Einrichtung unterschiedliche Lernprogramme für alle Altersgruppen angeboten, welche die Neugier auf die dynamischen Prozesse unseres Heimatplaneten Erde und ihre Auswirkungen auf das Leben der Menschen wecken sollen.

ფრანკ ჰოლცფორსტერი

ვისწავლოთ დედამიწის წაკითხვა – გზა მდგრადი განვითარებისთვის უნარების განსაკითხვად

მდგრადი განვითარება თაობების კატეგორიით, ანუ გრძელვადიანად აზროვნებს. თუ გვსურს, მომავალ თაობებს სიცოცხლის იგივე შესაძლებლობები დავახვედროთ, უნდა ვკითხოთ საკუთარ თავს, რამდენი ხანი დაჭირდება, სახიფათო ნარჩენების უტილიზაციას, ან რა პერიოდებში მოხდება მათი ახალი დაგროვება? გეოლოგია გვეხმარება ამის დადგენაში.

დავაკვირდეთ დაახლოებით 250-300 მილიონი წლის წინანდელ სამყაროს. დედამიწა დღევანდელთან შედარებით სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა. ხუთი კონტინენტის ნაცვლად არსებობდა ერთი დიდი ტერიტორია - პანგეა. მისი არსებობა კონტინენტური ფილების მოძრაობამ, ერთმანეთთან მიახლოვებამ გამოიწვია. სადაც ისინი ერთმანეთს დაეჯახა, მთები ჩამოყალიბდა. ერთ-ერთი ამგვარი ყოფილი დაჯახების ზონა დღეს გერმანიის ტერიტორიაზეც არის განლაგებული. სწორედ აქ მოღვაწეობს ჩემი გარემოს დაცვის სადგური. 1987 გერმანელმა გეოლოგებმა 17 ქვეყნის მეცნიერებთან თანამშრომლობით დაიწყეს კვლევითი პროექტი. გაიბურღა დღესდღეობით ყველაზე ღრმა ხვრელი (9,101მ). დღეს ამ გაბურღული ხვრელის წყალობით შეგვიძლია შევიტყუოთ, თუ როგორაა სტრუქტურირებული კონტინენტური მიწის ქერქი, ჩვენი პლანეტის, დედამიწის, მკერვი, მაგრამ ძალიან თხელი, ზედა ფენა, რომელზეც ცხოვრობს და რომლის წყალობითაც ცოცხლობს ყველა ადამიანი. ამის შესახებ მოყოლა ეკოლოგიური განათლების ცენტრის ფუნქციაა, რათა ადამიანებში იმ კომპეტენციების განვითარება მოხდეს, რომლებიც მდგრადი ცხოვრების წინაპირობას წამოადგენს. ზოგიერთ უნარ-ჩვევას გერმარდ დე ჰაანი შემოქმედებით კომპეტენციებს უწოდებს (იხ. მომდევნო მონაკვეთებში). მათ განსაკუთრებულად ჩვენი ინსტიტუტი ყველა ასაკის ჯგუფისათვის სხვადასხვა სასწავლო პროგრამას გთავაზობთ, რომელთაც უნდა გამოიწვიონ ინტერესი ჩვენი მშობლიური პლანეტა დედამიწაზე განვითარებული დინამიური პროცესებისა და ადამიანების ცხოვრებაზე მათი გავლენის ირგვლივ.



LANDSCHAFTEN LESEN

Ein Zugang, um diese Kompetenzen zu erwerben, besteht in der Auseinandersetzung mit Landschaften. Verschiedene Naturräume bilden gemeinsam Landschaften, die in großer Vielfalt unsere Länder prägen. In diesen Landschaften siedeln die Menschen. Wir verwenden Materialien unserer Landschaften zum Bauen, Pflanzen und Säen. Zum Beispiel wachsen unterschiedliche Feldfrüchte, folglich ernähren wir uns je nach Region unterschiedlich. Wir identifizieren uns mit unserer Landschaft, nennen sie „Heimat“ oder „Lebensraum“. Jede Region hat ihre naturräumliche und ihre kulturelle Eigenheit, vielfach stehen Traditionen und landschaftliche Faktoren in Wechselwirkung. So charakterisiert sich die vom milden Weinbauklima geprägte, liebliche Flusslandschaft in Unterfranken sowohl durch ihre speziellen abgeschlossenen Höfe wie auch durch ihre „bunten“ Trachten. Im Bayerischen Wald dagegen sind enge Täler und über 1.000 m hohe Gipfel mit sehr viel Wald und kleinen Wiesenflächen wenig geeignet für den Ackerbau. Die Menschen leben vom Vieh und wohnen mit den Tieren unter einem Dach. In der Abgeschiedenheit vieler Täler entwickelten sich eigene Dialekte. An diesen Beispielen ist zu erkennen, dass die Naturräume die Menschen prägen und Identifikation ermöglichen. Man könnte fast sagen: „Landschaften machen Völker!“

Die Landschaft wiederum ist abhängig vom geologischen Untergrund – von den Gesteinen selbst, aber auch von den Prozessen, welche die Landschaft formen. Einerseits sind es die „aufbauenden“ Prozesse aus dem Erdinneren, welche Gebirge und Vulkane, Flachländer und Meeresbecken entstehen lassen. Andererseits sind es „zerstörende“ Prozesse an der Erdoberfläche, welche Gesteine verwittern und abtragen und dabei Meeresbecken mit Sediment auffüllen oder tausende Meter hohe Gebirge verschwinden lassen. Die Geologie prägt die Landschaft und somit auch die Menschen, die in den Landschaften leben. Vielleicht sind die Menschen gerade dort am Vielfältigsten, wo die Geologie am dynamischsten ist, und sich die Prozesse der Erde am deutlichsten auswirken.

LANDSCHAFT DES KAUKASUS

In der Kaukasusregion ist die Geologie und damit auch die Landschaft sehr vielfältig. Der Blick auf die geologische Karte zeigt das Gebirge des Großen Kaukasus im Norden und die „fleckige“ Geologie im Süden mit dem Kleinen Kaukasus und den weiter nach Süden anschließenden Gebieten in der Türkei, in Armenien und im Iran mit ganz unterschiedlichen Gesteinen, die ihrerseits Landschaften prägen. Wer als Geologe diese Region anschaut, erhält ein Bild von Naturräumen und Landschaften und ahnt, dass die Menschen in dieser Region sehr vielfältig in ihren Traditionen und Lebensweisen sein müssen.

Geologisch gesehen ist die Region in ständiger Veränderung. Tektonische Platten stoßen hier aneinander, es laufen heute Prozesse ab, die in Westeuropa vor 300 Millionen Jahren abliefen. Der Kollisionsprozess läuft sehr langsam ab. Er hebt

ლანდშაფტების საკითხვა

